მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აივაზ ისკანდაროვი კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N1

ქ. მარნეული **18.09.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - აივაზ ისკანდაროვი ,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, ნადირ გულიევი

სხდომას ესწრებოდა- კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების:ალგეთისმევენახეობის,ამბაროვკის,კაპანახჩ ის,ილმაზლოს ,ქესალოს და მეორე ქესალოს მოსახლეობა,ასევე საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ელშან ჰასანოვი , მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების სპეციალისტი შერმადინ ბოჭოიძე,აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტი არჩილ მდივნიშვილი ,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი ქიამრან მამედოვი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის აივაზ ისკანდაროვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აივაზ ისკანდაროვმა კაპანახჩის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ალგეთისმევენახეობა,ამბაროვკა,კაპანახჩი,ილმაზლო,ქესალო,მეორე ქესალო)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო კაპანახჩის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ

ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს დასახლება ალგეთის მევენახეობაში განხორციელდა გარე განათების მოწყობა და შიდა გზების რეაბილიტაცია.სოფელ ამბაროვკაში მისასვლელი გზის მოასფალტება და გარე განათების მოწყობა განხორციელდა.სოფელ ქეშალოში ,პირველ ქეშალოში, მეორე ქეშალოში, სოფელ კაპანახჩში და სოფელ ილმაზლოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები შესრულდა.სოფელ ილმაზლოს მისასვლელი გზის მოასფალტება.

აზრი გამოთქვეს:მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს დასახლება ალგეთის მევენახეობის და სოფელი ამბაროვკის მაცხოვრებლებს : წყლის აუზია გასაკეთებელი, სურთ სასმელი წყლის რეაბილიტაცია,ასევე სარწყავი წყლის რეაბილიტაციას ითხოვენ,ნაგვის ურნებს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნას ითხოვენ ,აგრეთვე ამბულატორიის მშენებლობას.

სოფელი ქესალოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სასმელი წყლის რეაბილიტაცია,საბავშვო ბაღი და ტრამპლინი დაასახელა.

სოფელი კაპანახჩის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სარწყავი წყლის რეაბილიტაცია ,ნაგვის ურნები,შიდა გზების მოასფალტება და გარე განათების მოწყობის სამუშაოების დასრულება დაასახელა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის აივაზ ისკანდაროვის გაწეული მუშაობის ანგარიში.